პროლეტარელებო ყველა ძვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

СССР

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 280 (18522) კვირა, 5 დეკემბერი, 1982 წელი ფასი 3 კაპ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის (1982 წ.) კლენუმის გადაწყვეტილებანი — ცხოვრებაში!

არც ერთი წუთი მოცდენა! არც ერთი გრამი დანაკარგი!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XI პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლით დაიწყო ახალი ეტაპი ჩვენი სახალხო მეურნეობისა და, საერთოდ, მეიერთმეტე ხუთწლედით დასახული პროგრამის განხორციელება.

პლენუმზე თავის მოხსენებაში ამხანაგმა ედუარდ ამვროსის ძე შევარდნაძემ აღნიშნა, რომ მიმდინარე წელი ჩვენთვის ერთგვარი შემოწმება, სერიოზული გამოცდა გახდება, ვინაიდან სახალხო მეურნეობაში შეგვექმნა უაღრესად რთული მდგომარეობა, ეს განპირობა არახელსაყრელმა ამინდმა, უჩვეულოდ ცივმა ზამთარმა, მატერიალური რესურსების დალმინტების, ელექტრომომარაგების შეზღუდვამ, სათბობის მომარაგებაში არსებულმა შეფერხებებმა და სხვა.

იმისათვის, რომ უზრუნველყოთ მიმდინარე წლის გეგმა-ვალდებულებათა შესრულება, საბჭოთა რესპუბლიკის მშრომელებმა, თითოეულმა მუშამ და კოლმეურნემ, ბრიგადირმა და კარგალმა, უბნის უფროსმა, საწარმოს დირექტორმა თუ კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, მინისტრმა თუ რაიონის მდივანმა მთელი არსებით შეიგნონ, რომ ამ უაღრესი სიძნელეებიან დაძლევა, რომელთა წინაშეც ვდგავართ, მათი პირადი პარტიული და მოქალაქეობრივი მოვალეობაა.

გუშინ, შაბათს, თბილისის მეფინანსე საწარმოთა კოლექტივები დამკვრელურ შრომითს ვახტზე იდგნენ. მათ დაამზადეს თითქმის

6.000.000

მანეთის სხვადასხვა სახეობის პროდუქცია.

სკკპ ცენტრალური კომიტეტში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 60 წლისთავის აღსანიშნავად 1982 წლის 21 დეკემბერს ქალაქ მოსკოვში, კრემლის ყრილობათა სასახლეში მოეწყოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს და რუსეთის საბჭოთა სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გაერთიანებული საზეიმო სხდომა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს

ჩვენ, სსრ კავშირისა და რუსეთის სფს რესპუბლიკის შემოქმედებითი კავშირებისა და ორგანიზაციების გამგეობათა გაერთიანებული პლენუმის მონაწილენი, ჩვენი ქვეყნის ყველა მოძმე ხალხთა წარმომადგენელნი, სხვადასხვა თაობის ადამიანები, კომუნისტები და უპარტიოები, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს მიგმართავთ გულითადი სამადლობელი სიტყვებით იმისათვის, რომ უდიდეს მზრუნველობას იჩენთ ხალხის კეთილდღეობისათვის, სოციალისტური კულტურის განვითარებისათვის, ყურადღებას არ აკლებთ ლიტერატურის, ხელოვნების, ჟურნალისტიკის მოღვაწეებს.

ჩვენი საზეიმო პლენუმი სახელოვანი თარიღის — სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავის წინ გიმძაფთა. როგორც ყველა საბჭოთა ადამიანს, ქვეყნის მხატვრულ ინტელიგენციას ეუფლება პატრიოტული სიამაყე სოციალური პროგრესის ავანგარდში მდგომი, მსოფლიოს მერმისის განმასაზღვრელი ჩვენი მრავალეროვანი მამულის მიღწევებისათვის.

სკკპ XXVI ყრილობამ მაღალი შეფასება მისცა ლიტერატურის, ხელოვნების, ჟურნალისტიკის წვლილს საბჭოთა ადამიანების სულიერ ცხოვრებაში. ჩვენ ულრესად მადლიერნი ვართ ჩვენი შემოქმედებითი გარჯის შთამგონებელი მხარდაჭერისათვის და გულთან ახლოს მიგვაქვს პარტიის განაწყენი: ვისუფლდგულთო ხალხის ინტერესებით, მასთან ვიყოთ ჯირსა თუ ლხინში, დავამკვიდროთ ცხოვრების სიმართლე, ჩვენი პუმანისტური იდეალები, ვიყოთ კომუნისტური შეხედულების აქტიური მონაწილენი.

ჩვენ მუდამ წმიდად შევინახავთ და განვავითარებთ სოციალისტური კულტურის ფუძემდებელთა დიად ტრადიციებს, რომლებმაც გვიანდერძეს ურყევად ვიდგეთ პარტიულობისა და ხალხურობის პოზიციებზე, გულისყურით ვისმინოთ რეკოლუციის მუსიკა. ეს მძლავრი მუსიკა დღეს მოგვეცნის ციმბირის მშენებლობებზე, „ატომმანქანის“ საამქროებში, ბაიკონურის სასტარტო მოედნებზე, ჩვენი დიადი საშობლოს მოკავშირე რესპუბლიკების ქალაქებსა და სოფლებში.

ჩვენ მოგვესმის იგი საბჭოთა ადამიანის — ჩვენი წერნების, ფილმების, სპექტაკლების, სიმფონიების, სიმღერების, სურათების, ნარკვევებისა და ბუბლიცისტური სტატიების თაავარი გმირის ყოველდღიურ საქმიანობაში.

იმპერიალიზმის გამოისობით პლანეტის თავზე კვლავ წამოიქუფრა ომის საფრთხის შავი ღრუბელი. ჩვენ კვლავ ვადასტურებთ, რომ მტკიცედ ვუპერთ მხარს მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მშვიდობიან ინიციატივებს. ჩვენ გეწყმს გონების გამარჯვება და მთელი ჩვენი მოღვაწეობის უზენაეს არსად ვრაცხთ ბრძოლას ჩვენი სამშობლოს და მთელი კაცობრობის მშვიდობიანი მომავლისათვის. გლოვის დღეებში, როცა ქეყანა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს ეთხოვებოდა, განსაკუთრებული ძალით გამოვლინდა საბჭოთა შემოქმედი ინტელიგენციის შეკავშირება პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო.

ჩვენ მზერავლად მივესალმებით სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოიგგარეშე პლენუმის გადაწყვეტილებებს, რომელმაც დაადასტურა პარტიის XXIII-XXVI ყრილობების კურსის მეშვიდრეობითობა, მივესალმებთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად ერთგული ლენინელის, ლ. ი. ბრეჟნევის უახლოესი თანამოსაგრის ამხანაგ იური ვლადიმერის ძე ანდროპოვის არჩევას, მთლიანად და სავსებით ვიწონებთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს, ერთსულოვნად ვუჭერთ მხარს ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის სიტყვაში ჩამოყალიბებულ დებულებებსა და დასკვნებს.

ქვეყნის შემოქმედი ინტელიგენცია აღუთქვამს სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, რომ კულტურის ოსტატები შედამ პარტიასთან ერთად იქნებიან, აღგთქვამთ, რომ არ დავეშურებთ ძალ-ღონეს კომუნისტური აღმშენებლობის საერთო-სახალხო საქმისათვის ბრძოლაში, მთელ ჩვენს ნიუსა და უნარს მოვახმართ ჩვენი ეპოქის, იმ გრანდიოზული ამოცანების შესაფერისი ნაწარმოებების შექმნას, რომლებსაც დღეს წყვეტს საბჭოთა ხალხი.

მილებულია სსრ კავშირისა და რუსეთის სფსრ შემოქმედებითი კავშირებისა და ორგანიზაციების გამგეობათა გაერთიანებულ კლენუმზე.

გაიმართა საუბრები

8 დეკემბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ მიიღო ალეირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. თალებ იბრაგიმი, რომელიც მოსკოვში ჩამოვიდა „შვიდთა კომიტეტის“ დელეგაციის შემადგენლობაში.

* * *

არაბული ქვეყნების „შვიდთა კომიტეტის“ დელეგაციის ეიზიტის დროს ამავე დღეს ერთმანეთს შეხვდნენ ა. ა. გრომიკო და საოდის არაბეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, უფლისწული საუდ-ალ-ფეისალი. (საკდესი).

აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

ბაკო, 3 დეკემბერი. (საკდესის კორ.). დღეს გაიმართა აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხი.

პლენუმმა აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნისა და ბიუროს წევრის მოვალეობისაგან გათავისუფლა ამხ. ჰ. ა. ალიევი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ მის დანიშვნასთან დაკავშირებით.

აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად აირჩიეს კ. მ. ბაგიროვი, რომელიც მუშაობდა აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნად.

პლენუმზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ჰ. ა. ალიევმა.

სემინარ-ლექტორიუმის მეცადინეობა

დღეს ეკონომიკა, სახალხო ღოვლთისადმი მზრუნველი დამოკიდებულება ჩვენი გეგმების რეალობის საკითხია. ეს პარტიული დებულება, რომელიც განისაზღვრა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებში, ამ პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ი. ვ. ანდროპოვის სიტყვაში, დიდარსი იყო მორიგი მეცადინეობა, 4 დეკემბერს რომ გამართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა მარქსისტულ-ლენინური თეორიისა და კომუნისტური მშენებლობის აქტუალურ პრობლემათა სემინარ-ლექტორიუმმა, რომელსაც ხელმძღვანელობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე.

სემინარ-ლექტორიუმის მეცადინეობა გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა გ. ვ. კოლბინმა.

მოხსენება თემაზე „ნედლეული, სათბობ-ენერგეტიკული და სხვა მატერიალური რესურსების რაციონალური გამოყენების პრობლემები“ გააკეთა საქართველოს სსრ სახმომარაგების თავმჯდომარემ ა. ი. ბუაძემ.

დაგეგმვის სრულყოფისა და მატერიალური რესურსების ნორმირებაზე სამეურნეო მექანიზმის ზემოქმედების გაძლიერების შესახებ ილაპარაკა თავის გამოსვლაში საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ი. ს. ყორანიამ. მომქირნეობის რეჟიმის ყოველი ღონისძიებით დაცვისათვის პარტიის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორულ-პოლიტიკური მუშაობის გამოცდილება გაუზიარა დამსწრეთ საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა დ. ვ. მანჯგალაძემ. საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამუშავებელი მრეწველობის. მინისტრმა თ. ი. უჩარეშვილმა ილაპარაკა იმაზე, თუ რა მუშაობას ეწევა სამინისტრო მატერიალური რესურსების დაზოგვისა და ყირანათიანი გამოყენებისათვის. მაგნეტიტის სამთომამდიდრებელ კომბინატში ნედლეული, მატერიალური და სათბობ-ენერგეტიკული რესურსების რაციონალური გამოყენების პრობლემებს მიუძღვნა თავისი გამოსვლა ამ კომბინატის დირექტორმა ა. ვ. ჯანტურიამ.

სემინარ-ლექტორიუმის მეცადინეობაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ნ. შ. ენდელაძე. (საქინფორმი).

ერთსულოვნების ძალა

მადლობა იმათ, ვინც მონაწილეობდა ამ სახალხო ლაშქრობაში!

...ერთ-ერთნი იმ საწარმოთა კოლექტივებს შორის, რომლებიც მაბათს მუშაობდნენ, მაუდ-კამეოლის კომბინატის „საბჭოთა საქართველოს“ ფეიქრებიც იყვნენ. ეს კოლექტივი ამ ბოლო პერიოდში ყურადღებას იქცევს თავისი მბზანმმართველი, სტაბილური მუშაობით (დირექტორი — თ. ტატანაშვილი, მთავარი ინჟინერი — ა. ნასაძე, პარტიული კომიტეტის მდივანი — ო. ხადირაძე).

როცა ისენი გუშინ სამუშაოდ გავიდნენ, მათ ამოძრავებდათ დიდი პასუხისმგებლობა ორა მარტო თავიანთი საწარმოს, არამედ მთელი რესპუბლიკის მეთერთმეტე ხუთწლედის მეორე წლის საჩელმწიფო გეგმის შესრულებისათვის. უკეთ რომ ვიცხოვროთ, საჭიროა ო�ეთ ვიმუშაოთ, ვიბრძოლოთ წარმოების კულტურისა და ეფექტიანობის ამაღლებისათვის, პროდუქციის . ხარისხის გაუმჯობესებისათვის. ეს კარგად ესმით კომბინატელებს, ამიტომ მათ ამ მხრივ ბევრი რამ გააკეთეს. განვლილ თერთმეტ თვეში ნაცვლად საგეგმო 106 მილიონ 710 ათასი მანეთისა გამოუშვეს და გასალეს 108 მილიონ 719 ათასი მანეთის პროდუქცია. შეიწულებული ყურადღება ექცევა ნაწარმის ხარისხს. სწორედ ამან გაბპარობა ის, რომ სასპანო ხუთკუთხედთან ერ მთლიანი ბოლოა ... ...

ლენინური პარტიის დროშით, ხალხთა მეგობრობის დროშით

სსრ კავშირისა და რუსეთის სუს რესპუბლიკის შემოქმედებითი კავშირებისა და ორგანიზაციების გაგზავნათა გაერთიანებული პლენუმი

ხალხის გმირული მიღწევები, საამბოხოს თვალსაჩინო წარმატებანი, რომელიც თავის 60 წლისთავს ეგებება, მრავალეროვნული საბჭოთა კალტურის ოსტატებისათვის შთაგონების წყარო, ერთიანი ოჯახის გრძნობით შეკავშირებულნი, კეთილშობილური ჰუმანისტური იდეალებით შთაგონებულნი ახმარენ ისინი მთელ თავიანთ ნიჭს პარტიის, საშობლოს, ხალხის სამსახურს.

შინაარსით სოციალისტური, ეროვნული ფორმებით მრავალფეროვანი, სულისკვეთებითა და ხასიათით ინტერნაციონალისტური საბჭოთა კულტურა ლენინური ეროვნული პოლიტიკის ცოცხალი განსახიერება გახდა, სსრ კავშირის ერთა და ეროვნებათა იდეურ-ზნეობრივი შეკავშირების ქმედითი ძალად იქცა და საბჭოთა ხელოვნისათვის არა არის რა იმაზე უფრო საპატიო მისია, ვიდრე ის, რომ თავისი შემოქმედებით ამკვიდრებდეს საბჭოთა ცხოვრების წესს, ჩვენი საზოგადოების მაღალ ზნეობრივ ღირებულებებს.

კულტურის მოღვაწეებმა მთელი გულით აღიქვეს პარტიის გაწყვნა — იცხოვრონ ხალხის ინტერესებით, იყვნენ კომეხსტური შენგებლობის აქტიანი მონაწილენი. ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, ისინი მხურვალედ ოწონებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს, პლენუმზე ანხანგა ი. ვ. ანდროპოვის მიერ წარმოთქმული სიტყვაში ჩამოყალიბებულ დებულებებსა და დასკვნებს.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 60 წლისთავს მიეძღვნა სსრ კავშირისა და რუსეთის სფს რესპუბლიკის შემოქმედებითი კავშირების და ორგანიზაციების გამგეობათა გაერთიანებული პლენუმი, რომელიც 3 დეკემბერს გაიმართა მოსკოვში. კრემლის დიდ სასახლეში შეიკრიბნენ ცნობილი მწერლები, კომპოზიტორები, მხატვრები, არქიტექტორები, კინემატოგრაფისტები, თეატრალური მოღვაწენი, ჟურნალისტები, ცენტრალურ იდეოლოგიურ დაწესებულებათა და უწყებათა ხელმძღვანელები. პლენუმის მონაწილეთა ტაშით შეხვდნენ ამხანაგებს ვ. ვ. გრიშინს, კ. უ. ჩერნენკოს, პ. ნ. დემიჩევს, ბ. ნ. პონომარიოვს, ბ. ვ. ზიმიანინს.

სხდომის პრეზიდიუმში დიდი აღმავლობით აირჩიეს სპპკ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო.

შეკრებილებმა წუთიერი დუმილით პატივი სცეს ლენინდ ილიას ძე ბრეჟნევის —თანამედროვეობის უთავესსახიერი პოლიტიკოსი და სახელმწიფო მოღვაწის ხსოვნას, რომელიც დღენადაგ ზრუნავდა ხელოვნებისა და ლიტერატურის განვითარებისათვის, საბჭოთა საზოგადოების სულიერი სიმდიდრის გამრავლებისათვის, შემოქმედებითი კავშირების საქმიანობისათვის.

პლენუმი გახსნა სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის პირველმა მდივანმა, სოციალისტური შრომის გმირმა, ლენინური პრემიის ლაურეატმა გ. მარკოვმა.

ამ ისტორიულ დარბაზში, თქვა მან, შეგვკრბა თითოეული საბჭოთა ადამიანისათვის დიდმა, საზეიმო, ღრმად შთამბეჭდავმა დღესასწაულმა: სსრ კავშირის უსრულდება 60 წელი! დღეს, დღესასწაულთან ერთ ჩვენს პირველ აზრს მივაპყრობთ ლენინს, ლენინურ პარტიას, რომელმაც შეისისხლხორცა კომეხსტური იდეალების კეთილშობილება, მუშათა კლასის პატიოსნება და სინდისიერ, რევოლუციის რაინდთა ვაჟკაცობა, ხალხთა გამოცდილება და სიბრძნე. პარტიისა და ხალხის ერთიანობა, მათი შეკავშირება ლენინური დროშთი იყო და არის ყველა ჩვენი გამარჯვების თავადური პირობა.

თანასწორუფლებიანი რესპუბლიკების ურღვევი კავშირი თვალსაჩინოდ ადასტურებს ლენინური ეროვნული პოლიტიკის ცხოველმყოფელობას. ჩვენ ვამაყობთ სსრ კავშირში შემავალი თითოეული სოციალისტური ერისა და ეროვნების ნამდვილი აყვავებით. ჩვენ ვამაყობთ, რომ ძირეულად გარდაიქმნა მეფის რუსეთის ყოფილი ეროვნული განაპირა მხარეების ეკონომიკა და ყოფა-ცხოვრება, ალორძინდნენ ხალხები და ტომები, რომლებსაც წინით გადაშენება ელოდათ.

ინტერნაციონალიზმი, ძმობის, დახმარების, პატივისცემის ახალი სოციალისტური ურთიერთობა ჩვენი ცხოვრების არსი, ჩვენი ყოფიერება, ჩვენი პაერი გახდა. ამას გვასწავლიდა კომეხსტური პარტია, იგი მიგვიძღოდა ამ გზით, შთაგვაგონებდა, გვადღიგებდა, გვაკავშირებდა. დღეს სხვადასხვა ეროვნების მილიონობით საბჭოთა ადამიანი, რომლებიც ახალ ისტორიულ ერთობად აქცევნ, შობლიურ კომუნისტურ პარტიას უხდიან მადლობას დიადი შრომისა და გმირობისათვის!

ორატორმა პარტიას, სკკპ ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, პოლიტბიუროსა და მის მეთაურს ანხანგა ი. ვ. ანდროპოვს აღუთქვა, რომ შემოქმედი ინტელიგენცია კიდევ უფრო აქტიურად იმუშაებს ჩვენი გმირული დროის, ჩვენი თანამედროვეს, კომუნიზმის აღმშენებლისა და მშენებლის შესახებ ნაწარმოებთა შექმნაზე, დისციპლინა შეიტანს ჩვენი საშობლოს კულტურაში.

საბჭოთა ხალხი ცხოვრობს ბრაწვნი სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის. ამაში დიდი მნიშვნელობა ენენება ახლახან გამართულ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმსა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიას. ისევე როგორც წინათ, საბჭოთა მწერლები ვეკრდზე არ განუდგებიან ხალხისა და პარტიის სახრუნავს, ისინი იქნებიან ყველაგან, სადაც საბჭოთა ადამიანები თავიანთი აღმშენებლობითნი შრომით სჭედენ გამარჯვებას, თავიანთი შემოქმედებით დაეხმარებიან ადამიანებისათვის კომეხსტური თვისებების, სოციალისტური საშობლოს დაცვისათვის მზადყოფნის გრძნობების ჩანერგვას, მხარს დაუჭერენ ყოველივე მოწონავეს, საუკეთესოს, მოიპოვებენ ახალ მხატვრულ დიღწევებს, დაამკვიდრებენ სოციალისტური რეალიზმის პრინციპებს.

ყველნენ პარტიის ერთგული თანაშემწენი ახალი საზოგადოების ადამიანის სულიერ ჩამოყალიბებაში — ეს მიიჩნიეთ თავიანთ შემოქმედებით და მოქალქეობრივ მოვალეობად მრავალეროვნული საბჭოთა კულტურის ოსტატებს.

თვითონ ხალხი გვიდგიძეს შემოქმედების, ზიგნების შექმნის სურვილს, თქვა რუსეთის სფსრ მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ, სოციალისტური შრომის გმირმა, ლენინური პრემიის ლაურეატმა ხ. მიხალკოვმა. ჩვენ ეცხოვრობთ მისი გატაცებებით, მისი საზრუნავითა და იმედებით, სიხარულითა და მუეხარებით. და შემთხვევითი რიდია, რომ ყოველგვე საუკეთესო მთგან, რაც ჩვენს ლტერატურას შეუქმნია, საბჭოთა ჭკოხეკონასათვის მთელი ცხოვრების მანძილზე ზნეობრივი გზის მანათობელი ვარსკვლავი ხდება. პასუხსაგებია ჩვენი მწერლური და მოქალაქეობრივი მისია.

პატიოსანი, შრომისმოყვარე, კომეხსტური პარტიის იდეალების ერთგული ადამიანის აღზრდა, რომლისთვისაც დამახასიათებელი იქნება ყოველივე იმისთან წილნაყარობის გრძნობა, რითაც ქვეყანა ცხოვრობს, ჩვენი დროის ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემაა.

შემოქმედებითი კავშირების გაერთიანებული პლენუმი მიმდინარეობს განუყრელ ისტორიულ ერთობად შეკავშირებული სსრ კავშირის ხალხთა ძმობისა და მეგობრობის მაღალი პრინციპების დიმკვიდრების ნიშნით, თქვა სსრ კავშირის კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის პირველმა მდივანმა, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა, ლენინური პრემიის ლაურეატმა ლ. კულიჯანოვმა. ლიტერატურისა და ხელოვნების ოსტატები უფიდან ზმად არიან მხარი ეიდგნენ პარტიას, თავიანთი წვლილი შეჰკონდეთ კომეხსტური შენგებლობის საქმეში.

პარტიულობისა და ხალხურობის ლენინური პრინციპები წარმოადგენს აგრეთვე საბჭოთა ჟურნალისტიკის ძალას, ხაზი გაუსვა ანხანსსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ, გაზეთ „პრავდის“ მთავარმა რედაქტორმა ვ. აფანასიევმა. მან ილაპარაკა იმაზე, თუ რა მრავალმხრივ საქმიანობას ეწევიან მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, რათა პუბლიცისტიკის ენით ასახონ კომეხსტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის გმირული ბრძოლა და გიგანტური აღმშენებლობითი მუშაობა.

ორატორი შეეხო პროფესიული ოსტატობისა და ჟურნალისტური გამოსვლების ხარისხის პრობლემებს, აღნიშნა, რომ ზოგჯერ ისინი სკოდაევენ ერთფეროვნებითა და სიმშრალით, ფორმალიზმითა და ჭკუის დამრიგებლობით. ციფრებისა და ფაქტების მიღმა ზოგჯერ არ ჩანან ნამდვილი, ცოცხალი ადამიანები, მათი ხასიათები, ბაზრები და გრძნობები.

ვიმეშაოთ ახლებურად — გამოვიჩინოთ მაქსიმალური ინიციატივა, წესრიგი, დისციპლინა და პასუხისმგებლობა! ამ მოწოდებას, რომელიც ახალი ძალით გაისმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმზე, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მწერლებისთვისაც, თქვა მოსკოვის მწერალთა ორგანიზაციის გამგეობის პირველმა მდივანმა ო. კუზნეცოვმა.

პარტიის პოლიტიკა, რომლის მიზანია ეფექტიანობისაკენ, ინტენსიფიკაციისაკენ, შედეგიანობისაკენ, ახლობელი და გასაგები საბჭოთა ხელოვანისათვის — მრავალეროვანი სოციალისტური საშობლოს მოქალაქისა და პატრიოტისათვის. ამგვარი ტიპის შემოქმედი ჩვენი მრავალეროვანი კულტურის უმაღლესი კუთვნილება და სიამაყეა.

სულიერ ღირებულებათა უხვად გაზიარება, ეროვნული კულტურების ურთიერთგავლენის და ურთიერთგამდიდრების პროცესის ბაძლიერება საბჭოთა ცხოვრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნიშანია. ხაზი გაუსვა რა ამ აზრს სსრ კავშირის სახალხო არტისტმა, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების ლაურეატმა დ. ბალნოროსმა აღნიშნა, რომ ლტვის პროფესიული თეატრის დაბადება შემთხვევით რიდი ემთხვევა 1918 წელს საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებას. მაშინვე, როგორც დღევანდელი ძმური ერთგულების მაცნე, განსაკუთრებით გამოვლინდა მისადმი რუსეთის თეატრალური კულტურის კონკრეტული დახმარება, კულტურისა, რომელიც ამაყი სიტყვით — საბჭოეთი იწოდებოდა.

არ არის ჩვენთვის იმაზე მეტი მონაპოვარი, ვიდრე ჩვენი ურღვევი ძმობა, თქვა ახაზრბიჯანის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტმა, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ბ. მაგომაევმა. ბევრი მიმოგზაურია ქვეყანაში, შეეხვედრევარ სხვადასხვა პროფესიის, ეროვნების ადამიანებს, და ყოველთვის სულ უფრო ვრწმუნდებოდი ამ დიადი მეგობრობის ცხოველმყოფელ ძალაში. მისი მძლავრი, დატოტვილი, მსხმოიარე ხე არასოდეს არ ხმება. ხალხთა მეგობრობის, ხელოვნების მეგობრობის დაუვიწყარი დღესასწაულები ეწყობა ჩვენს ქვეყანაში, ბრწყინავს ფერების, სიმღერების, ცეკვების თვალსმომჭერი ფოიერვერკად. ამაში დღეებში განსაკუთრებით გრძნობ, თუ რა დიდი პასუხისმგებლობა, რა ამაყი უფლებაა იყო საბჭოთა ხალხის ხელოვნების სრულფუფლებიანი წარმომადგენელი!

საიდანაც უნდა ჩამოვდიოდეთ მოსკოვში მრავალეროვანი, მრავალანგიანი და მრავალფეროვანი საბჭოეთის ხელოვანნი, დედაქალაქი ჩამოგვაქვს ჩვენი სიყვარული, იმედის, სანუკვარი გრძნობისა და ანზრებიგ სამი გვრდვანი, — თქვა დაღესტნის მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ, სოციალისტური შრომის გმირმა, ლენინური პრემიის ლაურეატმა რ. გამზატოვმა.

პირველი გვერდგენით ვამკობთ ლენინს — ქვეყნად ყველაზე ბვირფასი ადამიანის მავზოლეუმს: სწორედ ლენინს, ჩვენს რევოლუციას უნდა ეუმადლოდეთ ხალხთა დიდ კავშირს, ჩვენი ბედენაცა და მუზეების კავშირს, მეორე გვერგვინი მიგვაქვს მარადიულ ცეცხლთან, რომელიც ანთია უცნობი და ამავე დროს მთელი მსოფლიოსათვის ცნობილი საბჭოთა ჯარისკაცის საფლავზე. სიყვარულის მუსაე გვერგვინთან ვამკობთ პუშკინის ძეგლს. დიდ რუსულ ლიტერატურას უნდა ეუმადლოდეთ ჩვენს მეორე პოეტურ დაბადებას.

სომხეთის სსრ სახელმწიფო კაპელის მთავარმა დირიჟორმა, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა ო. 	ეკანიანმა, რომელმაც ცხოვრება უცხოეთში დაიწყო, მოელვარებით ილაპარაკა იმაზე, თუ რა დიდი ბედნიერებაა ცხოვრობდე საშობლოში, ქვეყანაში, სადაც ასე აფასებენ ხელოვნებას, სადაც ხელოვანი გარემოსაგან პარტიისა და მთავრობის ზრუნვითა და ყურადღებით.

ზეპირი პოეტური იმპროვიზაციიდან ვრცელ რეალისტურ ეპოპეამდე, ინსტრუმენტული პანგებიდან მრავალმხიან ოპერამდე და სიმფონიამდე, კლდეზე ნახატიდან და ორნამენტიდან დაზგურ ფერწერამდე და მონუმენტურ ქანდაკებამდე, ფოლკლორული ტრადიციებიდან ლენინისტური რეალიზმის მოწონავე ესთეტიკამდე, ცალკეულ ნიმეურ პროოფესიათა თვითგამოხატვიდან მრავალდარგოვან პროფესიულ კულტურამდე — ასე განსაზღვრა ყაზახეთის საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების სახელოვანი გზის ნიშანსვეტები ამ რესპუბლიკის მწერალთა კავშირის გამგეობის პირველმა მდივანმა ფ. ბულდაგალიევმა.

დიახ, ჩვენ ვამაყობთ ჩვენი მხატვრული კულტურის აყვავებით, თქვა მან, მაგრამ დღეს ჩვენ გაცილებით უფრო მეტად გავიღელვებს მის წინაშე დასახული ამოცანები და პრობლემები, ის მწვავეადები, რომელთა დალაშქვრას გვისახავენ მიზნად პარტია და ხალხი.

როცა მანამდე ჩამორჩენილი ყირგიზი ხალხის ადამიანობაზე ოლაპარაკობ, ამ რესპუბლიკის მხატვრთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ, ლენინური პრემიის ლაურეატმა ტ. სადიკოვმა, დიდი მადლობა მოახსენა საბჭოთა კულტურის ფლაგმანებს — მოსკოვის, ლენინგრადის, ქვეყნის სხვა დიდი ქალაქების სასწავლებელთა კოლექტივებს, რომლებიც უდიდესი მზრუნველობით ამზადებდნენ ინ ამზადებენ ეროვნულ კადრებს, ახალ ყირგიზეთში შემოქმედებითი კოლექტივებისა და კულტურული პროფილის სასწავლებელთა მასწავლებლებს ძირითად ბირთვს რომ შეადგენენ. სწორედ ამიტომ მოსკოვში ხელოვნების ოსტატთა ყოველი შეხვედრა ჩვენთვის დღესასწაული, ცოდნის, შთაბეჭდილებებისა და შთაგონების წყარო.

როცა ესტონეთის ეროვნული ხელოვნების გახეთიარებზე ილაპარაკა, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ა. კაალმა თქვა, რომ ომის ძნელბედობის ჟამს, 1942 წელს საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებით ქალაქ იაროსლავლში შეიქმნა ესტონეთის სს რესპუბლიკის მხატვრული ანსამბლები. ქვეყნმა რუსულმა ქალაქმა არა მარტო ხელგაშლილად შეიფარა ესტონელი ხალხის შემოქმედი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები, არამედ ესტონეთის საბჭოთა ხელოვნების აყვავება გახდა. სწორედ აქ ჩაეყარა საფუძველი დღევანდელი ესტონეთის ეროვნული კულტურის მოღვაწის მსოფლიო აღიარებას. უდიდეს მადლობას გიძღვნით ამისათვის, რუსო ძმებო, თქვა მსახიობმა.

მრავალეროვნული საბჭოთა კულტურის ერთ-ერთი უდიდესი დამსახურებაა ისტორიისათვის მაწადდე უცნობი, პრინციპალად ახალი გმირის დამკვიდრება — ადამიანისა, რომელისთვისაც შრომა შემოქმედება და ცხოვრების უმაღლესი ახრი გახდა. ხელოვნის ბადალ მოწოდებას, ხალხთა ურღვევ მეგობრობას მიეძღვნა თავისი გამოსვლა კიევის ოპერისა და ბალეტის სოლისტმა მ. სტეხუკმა.

რეგოლუციით ზობილი ახალი ადამიანი, განაცხადა ბელორუსიის სსრ მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ, სოციალისტური შრომის გმირმა, ლენინური პრემიის ლაურეატმა ბ. ტანკი, დიდი და ნამდვილად საგმირო საქმეებისთვის არის ზობილი. იგი დაიბადა ომისთვის, რომ შემოქმედებითად ეშრომა და ქვეყანად მშვიდობისა და ბედნიერებისათვის ებრძოლა, მას არაერთხელ დაუცავს ცივილიზაცია, როგორც თავისი, ისე ის ცივილიზაცია, რომელსაც მრავალი წლის მანძილზე არ სურდა ეღიარებინა იგი, როგორც ლიტერატურისა და ხელოვნების ახალი გმირი.

როცა ცხოვრებისა და ხელოვნების კავშირის გამმეკიცებას შეეხო, ლატვიის სს რესპუბლიკის სახალხო მხატვარმა, ლენინური პრემიის ლაურეატმა ი. ზარინმა აღნიშნა, რომ უკანასკნელ დროს რესპუბლიკის სახეითი ხელოვნების ოსტატები უფრო დაუახლოვდნენ ზრომის კოლექტივებს. სახეითი ხელოვნების უკანასკნელი დღეების დროს, ეს დღეები კი ლატვიაში ყოველწლიურად ეწყობა, რესპუბლიკის რაიონებში ხარვეზები იყო ასზე მეტი გამოფენა. ბევრ კოლეფურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში შეიქმნა ხალხური მხატვრული გალერეები.

ხელოვნებისა და შრომის კავშირის განმტკიცების პრობლემებს შეეხო აგრეთვე ტაჯიკეთის სსრ მწერალთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ჯ. კაბოტი. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ რესპუბლიკაში უკვე მრავალი ათწლეულის მანძილზე ორგანიზაციულად გაფორმებულა და დღენიადაგ იხვეწება შემოქმედი ინტელიგენციისა და შრომითი კოლექტივების კავშირი.

მაგალითისათვის ორატორმა მაღალი ტაჯიკეთის მწერალთა კავშირისა და „ერთი „დრუჟბა ნაროდოვეს“ მრავალი წლის შემოქმედებითი შეფობა ნურეკის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობისაში. იქ შექმნილი ავტორატაფების უნიკალური ბიბლიოთეკაზე, მუშათა პრემიებზე, რომლებსაც ჰიდროშენებლები ეწყობიან ლენინის სუბბოტნიკებზე, პუბლიცისტებისა და სამეფურნეო შეაკვნის სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის პირველმა მდივანმა, სოციალისტური შრომის გმირმა, ლენინური პრემიის ლაურეატმა ტ. ხრენიკოვმა.

ჩვენ ყოველთვის ვიყავით და ვართ ერთიანი ბრძენთა და მეწრაფებებით გაერთიანებული ერთსულოვანი ოჯახის წევრები, თქვა მან. და ეროვნობლობის ეს გრძნობა უკვე თავისთავად ხიის კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვების ბრწყინვალე დემონსტრაციაა, ჩვენი ხალხების მეგობრობის წმიდაა ტრადიციების ქაყეფი გამოვლინება, რომელსაც საფუძველი ექმენ ათწლეულის წინათ ჩაეყარა.

ჩვენ საამაყოდ ბევრი გვაქვს, ისიც ვიცით, რა დავისახოთ მიზნად, რას შეგუფფრდოთ ჩვენი ღღეგანდელი ნაბიჯი. ჩვენი მიღწევები განისაზღვრება ქეშმარიტად შემოქმედებით ატმოსფეროთი, რომელიც ქვეყანაში შექმნა ჩვენი ხელოვნების განვითარებისათვის კომუნისტური პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის ზრუნვამ, ფრთხილმა და მოძთხოვნამ, პრინციპულმა და ეთილმოსურნე ზრუნვამ.

ჩვენ შეგნებული გვაქვს, რომ ნამდვილი აღმშენებლობა, ეშმარიტად თავისუფალი შემოქმედება შესაძლებელია მხოლოდ მშვიდობის პირობებში, ისეთ პირობებში, როცა ხელოვნების ადამიანეს ყველაზე ფართო შესაძლებლობანი აქვთ თავისი ნიჭი მოაზმარონ ხალხს. ამიტომაც ისე მხურვალედ, მთელი გულითა და სულით ვუჭერთ მხარს ჩვენი შმობლიური კომუნისტური პარტიის მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას, ამიტომაც ისეთი შთაგონებით ვუძღვნით ჩვენს ხელოვნებას მშვიდობის, ხალხთა ურთიერთგაგებისა და მეგობრობისათვის ბრძოლის საქმეს.

შემდეგ ტ. ხრენიკოვი შეეხო საბჭოთა მუსიკის განვითარებას, ილაპარაკა ჩვენი ეროვნული რესპუბლიკების მუსიკალური კულტურის უმაგალითო წარმატებებზე.

გაერთიანებული პლენუმის მონაწილეებმა დიდი აღფრთოვანებით გაიგეს ბესპალმენელი წერილი სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, რომელშიც აღუთქვეს პარტიას, რომ კულტურის ოსტატები ძალ-ღონეს არ დაიშურებენ კომუნისტური აღმშენებლობის საერთო-სახალხო საქმეთა ბრძოლაში, მთელ თავის ნიჭს მოაზმარენ ჩვენი ეპოქის, ჩვენი დიადი ხალხის ღირსეულ ნაწარმოთა შექმნას.

(საკდესის კორ).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მრეწველობის კომისიის

სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გაფართოებისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის რესპუბლიკაში გაწეული მუშაობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მრეწველობის კომისიის თავმჯდომარის, დეპუტატ ბ. ღ. მახარაშვილის მოხსენება

ამხანაგო დეპუტატებო!

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მრეწველობის და სახალხო მოხმარების · საქონლისა და ვაჭრობის კომისიებს საკმაოდ მიაჩნიათ უმაღლესი საბჭოს სესიაზე მოახსენონ, რომ საქართველოს მრეწველობამ, რომელიც ეროვნულ მეურნეობის მნიშვნელოვანი ნაწილია, ეკონომიკურ ლდეებთან შემდგომ გაუმჯობესების შესახებ სკკპ XXVI ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებთა და სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებებთან დასახულ ღონისძიებებს, ბოლო წლებში დადებიოს ძალებს მიაღწია სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გადადებაში.

მომდინარე ხუთწლეულს დამდეგიდან რესპუბლიკის მრეწველობა წარმატებით ასრულებს სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გეგმებს. შარშან გეგმა 103 პროცენტით შესრულდა. ამ საქონლის წარმოებამ 84,4 მილიონი მანეთით გადააჭარბა დადგენილით გათვალისწინებულ მოცულობას, რამაც შედგინა რესპუბლიკის მრეწველობის ზეგეგმით პროდუქციის მთელინი მოცულობის 61,3 პროცენტი. წლიურ მარტო 9 თვეში სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების დადგენა 107,4 პროცენტით შესრულდა, ხოლო მთელიანად მიმდინარე ხუთწლეულის განვლილ პერიოდში ამ საქონლის წარმოებამ საგეგმო დავალებით გათვალისწინებულ მოცულობას 240 მილიონი მანეთით გადააჭარბა.

დამაკმაყოფილებლად სრულდება კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სოფლის დანიშნულების საქონლის წარმოების გეგმები, გაუმჯობესდა ამგვარი საქონლის ხარისხის მიერეგნებელი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მრეწველობის და სახალხო მოხმარების საქონლისა და ვაჭრობის კომისიები სისტემატურად უწევენ კონტროლს, თუ როგორ ასრულებენ ამ მიმართულებით სამინისტროები და უწყებები, სახალხო დეპუტატთა ადგილმპრეზიი საბჭოები სსრ კავშირის კონსტიტუციის, სკკპ XXVI ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის მოთხოვნებს სახალხო მოხმარების საქონლით მოსახლეობის უზრუნველყოფის შესახებ.

ადნიშნულმა კომისიებმა რესპუბლიკის დაინტერესებული სამინისტროებისა — და უწყებებმ მონაწილეობით განხილეს სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების მოცულობის გადიდების, მისი ასორტიმენტისა და ხარისხის გაუმჯობესების და ამ საქონლის ვაჭრობის ორგანიზაციის მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი საკითხები.

განხილულ საკითხებზე მიღებული იყო კონკრეტული რეკომენდაციები.

გაძლიერდა სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების საგეგმო დადგენათა შესრულებისადმი, ამ საქონლის ხარისხისა და ასორტიმენტის გაუმჯობესებისადმი კონტროლი.

მართალია, რესპუბლიკამ მთლიანად შეასრულა სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების მიმდინარე წლის ცხრა თვის გეგმა, მაგრამ ამ დავალებათა შესრულება ვერ უზრუნველყვეს ნავთობქიმიური მრეწველობის სამინისტროს, ჩაის მშენებლობის სამინისტროს, სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტროს, შავი მეტალურგიის სამინისტროს საწარმოებსა, რომლებმაც ბაზარს 7 მილიონი მანეთის საქონელი დააკლეს. რესპუბლიკის ცალკეულ სამინისტროები და უწყებები, აგრეთვე საკავშირო დაქვემდებარების საწარმოო გაერთიანებები და საწარმოები სისტემატურად ზმლიან სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების საკონტროლო ფონდირებული მატერიალური რესურსების დამატებით გამოყოფის გარეშე.

ამიტომ მიზანშეწონილი ხომ არ იქნებოდა, საქართველოს სსრ სამმინისტროებისათვის დაგვევალებინა, ბელორუსიის სს რესპუბლიკის ანალოგიით შეემუშავებინა ღონისძიებანი, რათა საქართველოში მოგვეწყო მუდმივმოქმედი გამოფენა, რომელიც, ერთი მხრივ გვიჩვენებდა რესპუბლიკაში არსებულ სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების მთელ ნარჩენებს და, მეორე მხრივ, იმ საქონლის ნიმუშებს, რომელთა წარმოება შეიძლება მოგვარდეს რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებში.

როცა აღვნიშნავთ რესპუბლიკის საწარმოებში სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების მხრივ არსებულ ნაკლოვანებებს, უსამართლოა იქნებოდა მხოლოდ ამ მიზეზით აგვეხსნა პირველი საქიროების ზოგიერთი საქონლით რესპუბლიკის მოსახლეობის არადამაკმაყოფილებელი უზრუნველყოფა. მიზანშეწონილად მიგვაჩნია სახალხო მოხმარების საქონლის ქვეყნის იმ ეკონომიკური რაიონებიდან შემოტანა, სადაც მათი წარმოება ინდუსტრიულ საფუძველზე, დიდი მასშტაბით არის ორგანიზებული. ამასთან დაკავშირებით რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტრომ და ცეკავშირმა უნდა ცდილიყვნენ, ამ სრულდება ეკონომიკურ ურთიერთობა, ამასთან გაითვალისწინონ რესპუბლიკის მრეწველობის ინტერესები და შესაძლებლობანი.

რესპუბლიკის სამინისტროებ და უწყებათა, აგრეთვე საკავშირო დაქვემდებარების საწარმოო გაერთიანებათა და საწარმოთა ხელმძღვანელებმა თითოეული საწარმოს მიხედვით საგულდაგულოდ უნდა გააანალიზონ მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გეგმის შესრულების შედეგები და შეიმუშაონ კონკრეტული ღონისძიებანი ამ საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა უსწრაფესი აღმოფხვრისა და სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების 1983 წლის გეგმებისა და დავალებების უოუო შესრულებისათვის.

